აკადემოსი
AKADEMOS

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021წ.

ბრძანება N2-111-21

შპს ,,აკადემოსში'' სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ

შპს ,,აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' 22-ე მუხლის ,,თ'' პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს ,,აკადემ:სის'' სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამა ინკლუზიური განათლების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ახალი პროგრამის ძალაში შესვლისთანავე მოქმედი პროგრამა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
4. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს ,,აკადემოსის''
დირექტორი

/თამარ ჩანტლაძე/

დამტკიცებულია
შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის მიერ
2021 წლის 30დეკემბერს N2-111-21 ბრძანებით

შპს ,,აკადემოსის''სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამა

2021 წელი

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ინკლუზიური განათლების (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის) პროგრამის მეშვეობით ხდება სკოლის ყველა ასაკის ბავშვის ჩართვა სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი უნარებისა და შეზღუდული შესაძლებლობისა.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

პროგრამის მიზანი

ინკლუზიური განათლების პროგრამის მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად სკოლა ცდილობს, გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის (შემდგომში – სსსმ მოსწავლე) შესაძლებლობები, გაუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური ცოდნა და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და ხელი შეუწყოს მოსწავლის ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მოსწავლე, შესაძლებლობის ფარგლებში, სრულად უნდა იღებდეს მონაწილეობას სასკოლო აქტივობებში.

ინკლუზიური განათლება სკოლაში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ფიზიკური შეზღუდვა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- სწავლის უნარის დარღვევა;
- სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.

3. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს აკომოდაციას და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ალტერნატიულ სასწავლო მიზნებს. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;

ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;

გ) შეფასების აკომოდაცია;

დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

5. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.

6. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო

სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა. ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სპეციალიზირებულ სკოლაში საგნის მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგნის მასწავლებელი ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთან ერთად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

<u>სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის გამოვლენა</u>

1. თუ სკოლის პირველ კალსში ჩასარიცხი მოსწავლის რეგისტრაციისას მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიუთითებს პირის სავარაუდო საგანმანათლებლო საჭიროებაზე და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების მოთხოვნის მიზნით შეავსებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მაშინ მომართვას და თანდართულ დოკუმენტებს სკოლა გაუგზავნის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს 2 სამუშაო დღის ვადაში და პირი ჩაირიცხება სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის (რომლითაც დგინდება პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება) საფუძველზე, ჩარიცხვის წესის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება არ დადგინდება დადგება სკოლის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, პირის ჩარიცხვა სკოლაში განხორციელდება ჩარიცხვის წესის შესაბამისად.

2. მოსწავლეები, რომლებიც უკვე სწავლობენ სკოლაში ან გადმოვიდნენ სხვა

სკოლიდან - იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში) და ასევე სკოლის დირექციას. ამ ინფორმაციას სკოლის დირექცია მიაწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ორგანიზებას გაუწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში, მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს საგნის მასწავლებლებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მასწავლებელი/მასწავლებლები/კლასის დამრიგებელი თავად განსაზღვრავს/განსაზღვრავენ და იღებს/იღებენ ზომებს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის (მასწავლებლის შემთხვევაში) და სკოლის დირექციის წარმომადგენლის ჩართულობით.

2. მოსწავლის კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი/მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებენ მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველად მართვას. იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, და მიუხედავად სკოლის მიერ მიღებული ზომებისა ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1დან 2 თვის განმავლობაში, სკოლის დირექტორი სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან მოითხოვს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას.

ამისთვის იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, მიუხედავად სკოლის მიერ პირველადი მართვის დროს გატარებული ზომებისა და ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1 დან 2 თვის განმავლობაში, კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი მიმართავს სკოლის დირექტორს, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნით. აღნიშნული მომართვის წარდგენის შემთხვევაში სკოლა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მიაწვდის შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა. მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება;

ბ. იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი.

ამ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი:

ა. სკოლას მიმართავს წერილობითი ფორმით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით.

ბ. არ გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე და სკოლის დირექტორს მიმართავს განცხადებით, რომელშიც ხელმოწერით ადასტურებს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლის/სწავლების შედეგებზე.

თუ გაწეული ღონისძიებების მიუხედავად მოსწავლე კვლავ ავლენს სიძნელეს სწავლასთან დაკავშირებით, რაც მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს, სკოლა გონივრულ ვადებში განმეორებით მიიღებს ზომებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი კვლავ წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაფასებლად სკოლაში მომზადდება წარსადგენი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორის მიერ სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის წარდგენილი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნა, რომელსაც დაურთავს შემდეგ ინფორმაციას:

ა. მოსწავლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ. მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების აღწერა და დასაბუთება;

გ. იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების პირველადი მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი;

დ. კლასის დამრიგებლის/მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ შედგენილი, შესაბამის საგანში/საგნებში მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის ნიმუშის მიხედვით გაკეთებულ შეფასებას;

ე.მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტს.

იმ შემთხვევაში თუ არსებობს საგნის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, დასაბუთებული ვარაუდი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს კონკრეტულ საგანში/საგნებში და აღარ ესაჭიროება მინიჭებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი, მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას აფასებს და შესაბამის დასკვნას ადგენს მულტიდისციპლინური გუნდი.

ამ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ხელახალი შეფასების ინიციატივით მიმართავს საგნის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, და აღნიშნულზე არსებობს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, სკოლის დირექტორი სამინისტროს შესაბამისი

სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან მოითხოვს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მიმართვის ფორმით. სკოლის დირექტორის მიმართვას უნდა ახლდეს:

ა. კლასის დამრიგებლის/მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ შედგენილი, შესაბამის საგანში/საგნებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) აღწერის ფორმა ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

ბ.მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

გ.მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო ისტორიის არმქონე პირი/მოსწავლე ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი არის სმენის დარღვევის მქონე ან არ ფლობს სახელმწიფო ენას, სკოლა უზრუნველყოფს ჟესტური ენის თარჯიმნის ან შესაბამისი ენის თარჯიმნის მომსახურებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მიუხედავად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს, სკოლის დირექტორი, ისგ ჯგუფის ან/და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინიციატივითა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

მიმართვას დაერთვება:

ა. მასწავლებლის/მასწავლებელების მიერ შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევების (უნარ-ჩვევების, ცოდნის) შეფასება იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მოსწავლე ავლენს სწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეს;

ბ.ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შეფასებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;

გ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

დ.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აღსრულების მიზნით სკოლის მიერ გატარებული ზომების ანგარიში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისთანავე ან მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მინიჭებისთანავე სკოლა შექმნის სპეციალური საგანმანათლებლო მაჭიროების მქონე მისწავლისათვის შესაბამის საგანმანათლებლო გარემოს და საჭიროების შემთხვევაში აცხადებს კონკურსს შესაბამისი ადამიანური რესურსების მობილიზების მიზნით კანონმდებლობასთან შესაბამისად.

სკოლა 3 თვეში ერთხელ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას (პირადი შეხვედრით ან/და სოციალური ქსელით ან/და სატელეფონო შეტყობინებით) სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესთან დაკავშრებით.
სკოლა შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას და ბიუჯეტში შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საჭიროების შემთხვევაში.
სკოლა ინკლუზიური განათლების ეფექტიანად მართვის მიზნით განახორციელებს შიდა მონიტორინგს. ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგი განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლას შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტი შემუშავებული აქვს სამინისტროსა და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომნდაციის საფუძველზე·
ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით სკოლის დირექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი აქვს ჯგუფი და განსაზღვრული აქვს მის უფლებამოსილებები. ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ადგენს ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნას, რომელსაც დასკვნის შედგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს.

სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის სკოლა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს

- სასწავლო პროცესს განსაზღვრავს და წარმართავს სასწავლო პროგრამის შესაბამისად (მორგებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებზე);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად გეგმავს სწავლების სტრატეგიებს და სასწავლო აქტივობებს (საკლასო და საშინაო), არჩევს სასწავლო პროგრამასა და სახელმძღვანელოებს. განსაზღვრავს დროს, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;
- სსსმ მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის განმავლობაში, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განთლების მულტდისციპლინურ გუნდს და წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის შევსებულ ფორმას (დანართი N2), და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას (არსებობის შემთხვევაში);

- განსაზღვრავს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრების განრიგს. პერიოდულად ატარებს სავალდებულო შეხვედრას, რომლის დროსაც ხდება მიღწეული შედეგების შეფასება და მოსწავლის განათლების მიმდინარე პროცესზე მსჯელობა;

- ჩაატარებს მოსწავლისათვის საჭირო დამატებით ან/და ინდივიდუალურ მეცადინეობებს, განსაზღვრავს მეცადინეობების დროს, ადგილს და ხანგრძლივობას;
- საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს დამატებით ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელ პირს;
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლისათვის შეიძენს საჭირო რესურსს, რომელსაც გამოიყენებს სსსმ მოსწავლე;
- შეიძენს მოსწავლისათვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მასალას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. სკოლაში არსებული ისგ ჯგუფი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისთვის - სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად დაიგეგმება/განისაზღვრება:

ა. სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ. დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ.მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ. დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან ფსიქოლოგი საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
ე. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის მშობელიც;
ვ. მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური,

ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

7. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასებას.

8. სკოლა შექმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს (შემდგომში ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და მის განხორციელებას.

9. ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

10. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;

11. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

12. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

<u>ისგ ჯგუფი</u>

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის ადმინისტრაციას.

ისგ ჯგუფის წევრები:

- ✓ სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
- ✓ საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
- ✓ სსსმ მოსწავლის მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი;
- ✓ ფსიქოლოგი;
- ✓ ექიმი;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სხვა სპეციალისტი.

ისგ ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. სკოლის ფსიქოლოგი კოორდინირებას უწევს ისგ ჯგუფის წევრების საქმიანობაზე;

- **საგნის მასწავლებელი** - მთავარი მოქმედი პირია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას. მასწავლებელს სწავლების პროცესში ხანგრძლივი კონტაქტი აქვს მოსწავლესთან. შესაბამისად, იგი ფლობს ინფორმაციას თითოეული

მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, სოციალური და ყოველდღიური საჭიროების შესახებ. მასწავლებელი მშობელთან და სხვა სპეციალისტებთან შეთანხმებით ირჩევს მოსწავლისათვის გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს პრიორიტეტების მიხედვით, ქმნის და ნერგავს სასწავლო პროგრამას, მოიძიებს რესურსების დასახული მიზნებისა და პროგრამების განსახორციელებლად, ისგ ჯგუფის სხვა წევრებთნ ერთად. მონაწილეობას იღებს მოსწავლის შეფასებაში, სასწავლო მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრაში, საჭირო მასალისა და დოკუმენტაციის შექმნაში;

- **სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი** - მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სრულად ფლობს ინფორმაციას მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ, ამიტომ იგი ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას. იგი აქტიურად არის ჩართული მიზნის შერჩევასა და დასახული მიზნების განხორციელების პროცესში. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მუდმივი კონტაქტი აქვს მასწავლებელთან და ჯგუფის სხვა წევრებთან. ფლობს ინფორმაციას ბავშვის წარმატებებსა და სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების შესახებ. ჩართულია ყველა მიმდინარე სასწავლო აქტივობებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

- **ფსიქოლოგი** - აქტიურ მონაწილეობას იღებს სსსმ მოსწავლეების სწავლების პროცესში. მას ევალება სკოლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშაოს სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებით სკოლის სტრატეგია/ყოველწლიური ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. მიმართულებები მისცეს მასწავლებლებს სსსმ მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებით. ასევე, ის კოორდინირებას და მონიტორინგს უწევს ისგ ჯგუფის მუშაობას. ისგ ჯგუფის კოორდინატორი პასუხისმგებელია ისგ ჯგუფის საქმიანობაზე. პასუხისმგებელია ისგ ჯგუფის შეხვედრის ორგანიზებაზე, საჭირო დოკუმენტაციისა და მოსწავლის პორტფოლიოს წარმოებაზე, მონაწილეობს სასწავლო გეგმების მიზნებისა და სტრატეგიის განსაზღვრასა და მოსწავლის შეფასებაში. რეგულარული კონტაქტი აქვს როგორც მოსწავლის მშობლებთან ისე პედაგოგებთან;

სხვა პროფესიონალები – მონაწილეობას იღებენ მოსწავლის აკადემიური უნარების შეფასების პროცესში, თანამშრომლებენ ისგ ჯგუფთან და კონსულტირებას უწევენ მათ სხვადასხვა საკითხის შესახებ.

ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განსახილველი საკითხები:

✓ სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე კონკრეტული მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

✓ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება;

✓ მოსწავლის საჭიროების განსაზღვრა და პრიორიტეტების გამოყოფა;

✓ ჯგუფის წევრების როლებისა და პასუხისმგებლობის განაწილება;

✓ მოსწავლის არსებული განვითარების დონის, მიღწევებისა თუ შესაძლებლობების აღწერა;

✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წერილობითი ფორმის შექმნა;

✓ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და განხილვა;

✓ სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

<u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების ეტაპები:</u>

- ✓ ინფორმაციის შეგროვება;
- ✓ მიმართულების განსაზღვრა;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/გადაფასება და განახლება.

<u>ინფორმაციის შეგროვება:</u>

- ➢ მოსწავლესთან და მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონსულტაცია;
- ➢ საგნის მასწავლებლებთან კონსულტაცია;
- ➢ სხვა პროფესიონალებთან (ფსიქოლოგი, ექიმი, მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელი და სხვა) კონსულტაცია;
- ➢ მოსწავლეზე დაკვირვება და სიღრმისეული შეფასება.

<u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება</u>

გრძელვადიანი მიზანი – გრძელვადიან (წლიურ) მიზანს ისგ ჯგუფის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ მოსწავლის ძლიერი მხარეების, საჭიროებების, მიღწევის არსებული დონისა და სკოლის რესურსების გათვალისწინებით. ეს მიზანი ისახავს რეალისტურ მოლოდინს მოსწავლის მიმართ და შესაბამისად, შესაძლებელია, შეიცვალოს საჭიროებებიდან გამომდინარე.

მოკლევადიანი მიზანი – უფრო კონკრეტული და სპეციფიური მიზანი, რომელსაც გრძელვადიანი მიზნებისკენ მივყავართ. მათი მიღწევა უფრო მოკლე დროშია შესაძლებელი – ორ კვირაში, ერთ ან ორ თვეში. მოკლევადიანი მიზნები შედგება საფეხურებისგან, ანუ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის დიდი ყურადღება დაეთმობა მოსწავლის შეფასებას, რომელიც განხორციელდება მის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებით იმის მიხედვით, მიაღწია თუ არა ბავშვმა დასახულ კონკრეტულ შედეგს. აქედან გამომდინარე, გეგმაში ასახული სასწავლო მიზნებისა და სტატეგიების ცვლილებების საჭიროება შესაძლოა აუცილებელიც კი გახდეს.

მიზნის მიღწევის მონიტორინგი მოხდება სისტემატურად, რომლის დროსაც შეფასდება მასწავლებელების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სისტემის მიხედვით, რომელიც იქნება მოსწავლის მიღწევების თვისებრივი დახასიათება: სუსტი, დამაკმაყოფილებელი, საშუალო და მაღალი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/განახლება – ამ პროცესის მეშვეობით ისგ ჯგუფის წევრები მოახდენენ მუშაობის შეჯამებას, გაანალიზებენ, რამდენად უახლოვდება

მოსწავლე განსაზღვრულ შედეგს, რამდენად არის საჭირო გარკვეული ცვლილებების განხორციელება.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

✓ სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება შესაბამისი ქულით.

✓ სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

✓ გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

✓ საჭიროების შემთხვევაში, აბარებს ექსტერნს.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

✓ იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

✓ შინ სწავლების დროს სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.

✓ შინ სწავლების პროცესში აქტიურად ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

✓ შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება.

✓ სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

დანართი N2

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს
სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის
ინკლუზიური განვითარების სამმართველოს

სკოლის მიმართვის ფორმა

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით

სკოლის დასახელება ----------
რეგიონი:_____
მუნიციპალიტეტი: _____
განმცხადებელი:
სახელი, გვარი _____
ტელ: _____
მისამართი: _____

მოსწავლის/პირის სახელი გვარი:

_____

პირადი ნომერი:

დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი) _____
ასაკი: _____
სქესი: _____
კლასი: _____

დიაგნოზი: _____
(მიუთითეთ, თუკი დიაგნოსტირებულია ან მიუთითეთ შეზღუდვის ფორმა)

აქვს თუ არა ფიზიკური შეზღუდვა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა ინტელექტუალური დარღვევა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა სმენის პრობლემა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა მხედველობის პრობლემა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა ემოციური და ქცევის დარღვევა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა სწავლის უნარის დარღვევა: კი ☐ არა ☐
აქვს თუ არა მეტყველების დარღვევა: კი ☐ არა ☐
სხვა: _____

მიმართვის ფორმაზე თანდართულია

1. მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი;

2. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი

სკოლის დირექტორის
სახელი, გვარი ---------- ---------- ხელმოწერა ----------

მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი (მიმართვის ფორმის დანართი)

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლების და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის/ების მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიჩნეულია, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება მათ უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული ფორმები

მოსწავლის სახელი, გვარი ----------
სკოლა ----------
კლასი ----------
შევსების თარიღი ----------

1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შეფასების ფორმა

ინსტრუქცია: *ცარიელ გრაფებში აღწერეთ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეები*

კოგნიტური/შემეცნებითი უნარები	ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		
აზროვნება		
მეტყველება		

აკადემიური უნარები	ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
	ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
კომუნიკაცია		
ფუნქციური/ თვითმოვლის უნარები		

2. საგნის მასწავლებლების მიერ შესავსები ფორმა მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესახებ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით

ინსტრუქცია: *აღწერეთ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. გაითვალისწინეთ, რომ თითოეული საგნის სტანდარტთან მიმართებაში, მოსწავლეს აფასებს ყველა ის საგნის მასწავლებელი, რომელიც მას ასწავლის, შესაბამისად ქვემოთ მოცემული ცხრილი გადამრავლდება საგნების რაოდენობის მიხედვით.*

საგნის დასახელება: _____

მიუთითეთ ის სასწავლო შედეგები, რომლებსაც მოსწავლემ მიაღწია	**1.** **2.** **3.** **4.** **5.**
მიუთითეთ ინდიკატორი, რომელიც ადასტურებს, რომ მოსწავლემ სასწავლო შედეგს მიაღწია	**1.** **2.** **3.** **4.** **5.**

მიუთითეთ ის სასწავლო შედეგები, რომლებსაც <u>მოსწავლემ ვერ მიაღწია</u>	1. 2. 3. 4. 5.
მიუთითეთ ინდიკატორი, რომელიც ადასტურებს, რომ მოსწავლემ ვერ მიაღწია სასწავლო შედეგს	1. 2. 3. 4 5.

3. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტის/სპეციალისტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ შედგენილი მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის მართვის რეკომენდაციები

4. იმ ზომების აღწერა, რომლებიც სკოლამ მიიღო მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების პირველადი მართვის მიზნით, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი

ინსტრუქცია: *„თქვენ, როგორც საგნის მასწავლებელმა, რა ზომებს მიმართეთ, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების დაძლევის მიზნით:*

საგნის დასახელება: _____

ა) გამოყენებული მეთოდოლოგიის აღწერა

ბ) გამოყენებული სტრატეგიების აღწერა

გ) სხვა

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს
სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის
ინკლუზიური განვითარების სამმართველოს

კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით

განმცხადებელი (/კანონიერი წარმომადგენელი):

სახელი, გვარი _____

ტელ: _____

მისამართი: _____

მოსწავლის/პირის სახელი გვარი:

_____

პირადი ნომერი:

დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი) _____

ასაკი: _____

სქესი: _____

რომელ სკოლაშია დარეგისტრირებული (მიუთითეთ, თუ უკვე ირიცხება):

ქალაქი: _____

სკოლა: _____

კლასი: _____

დიაგნოზი: _____

(მიუთითეთ, თუკი დიაგნოსტირებულია ან მიუთითეთ შეზღუდვის ფორმა)

აქვს თუ არა ფიზიკური შეზღუდვა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა ინტელექტუალური დარღვევა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა სმენის პრობლემა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა მხედველობის პრობლემა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა ემოციური და ქცევის დარღვევა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა სწავლის უნარის დარღვევა: კი ☐ არა ☐

აქვს თუ არა მეტყველების დარღვევა: კი ☐ არა ☐

სხვა: _____
მიმართვის ფორმაზე თანდართულია
- **პირველადი საჭიროებების შეფასების კითხვარი**
კანონიერი წარმომადგენლის
სახელი, გვარი ---------- ---------- ხელმოწერა ----------

პირველადი საჭიროებების შეფასების კითხვარი

კითხვარის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ მოსწალე/პირი აღნიშულ მახასიათებლებს უნდა ავლენდეს ხშირად, ბოლო 3 თვის განმავლობაში

ინსტრუქცია: თითოეული დებულების გასწვრივ მონიშნეთ მხოლოდ ის დებულება, რომელსაც ეთანხმებით (დასვით „V“ სიმბოლო).

სენსორული დეფიციტი	
აქვს მხედველობის პრობლემა	
აქვს სმენის პრობლემა	
მეხსიერება, აზროვნება	
უჭირს მოსმენილი ინფორმაციის დამახსოვრება	
უჭირს თვალსაჩინოდ მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება	
საჭიროებს მითითებების, შეკითხვების ხშირად გამეორებას	
საჭიროებს მასალის გამარტივებას/დანაწევრებას	
გამოიყურება დაბნეულად	
აქვს აბსტრაქტული ცნებების გაგების სირთულე	
უჭირს დასწავლილის სხვა სიტუაციაში გამოყენება	
ყურადღება	
აქვს მოქმედებების და აქტივობების ორგანიზების სირთულე	
ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ, როცა ელაპარაკებით	
გარემოში არსებული სტიმულები ადვილად იწვევს მისი ყურადღების გადართვას	
უჭირს დეტალებზე ყურადღების გამახვილება	
გულმავიწყია ყოველდღიური აქტივობების მიყოლა/შესრულებისას.	
მეტყველება	
ვერ წარმოთქვამს ბგერებს	
საუბრისას სიტყვებს წარმოთქვამს არასწორად	

მეტყველებისას არ იცავს გრამატიკის წესებს	
აქვს შეზღუდული ლექსიკა	
მეტყველების დროს არ ამთავრებს აზრს, წინადადებას.	
კითხვა	
ვერ ცნობს ასოებს	
ვერ აერთიანებს ასოებს სიტყვებად	
კითხვისას ტოვებს ასოებს, ცვლის სიტყვებს	
ვერ ახერხებს წაკითხულიდან აზრის გამოტანას	
უჭირს წაკითხული ამბიდან მოვლენათა თანმიმდევრობის განსაზღვრა	
წერა	
ვერ ახერხებს ასოების გადაწერას	
წერის დროს ანაცვლებს ასოებს სიტყვაში	
არ იცავს სიტყვებს შორის დისტანციას	
წერს არათანაბარი ასოებით	
ვერ გადმოსცემს აზრს წერილობით	
მათემატიკა	
ვერ ცნობს ციფრებს	
ვერ იგებს მათემატიკურ სიმბოლოებს (მიმატება, გამოკლება, გაყოფა და ა.შ.)	
ვერ ცნობს საათს	
ვერ იცავს მათემეტიკური ოპერაციების თანმიმდევრობას	
ზოგადი აკადემიური პრობლემები	
არ ასრულებს საკლასო დავალებას	
არ ასრულებს საშინაო დავალებას	
ვერ ახერხებს დავალების დამოუკიდებლად შესრულებას	
მის შესაძლებლობებზე ნაკლებს აკეთებს	
არ მიყვება წერილობით ინსტრუქციას	
თანაკლასელებთან შედარებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს მასალის გასაგებად	
ადვილად ეფანტება ყურადღება	
ცდილობს სწრაფად დაასრულოს დავალება და არ აქცევს ხარისხს ყურადღებას	
საგაკვეთილო დროს არ იყენებს სათანადოდ	
ერთი აქტივობის დასრულებამდე ხტება მეორეზე	
ქცევა	
ხმაურობს გაკვეთილზე, აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს	
ჩხუბობს სხვა ბავშვებთან	
ავლენს აგრესიას მასწავლებლებისადმი	
აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს მასწავლებლებზე	
აკეთებს შეუსაბამო კომენტარებს მოსწავლეებზე	

შექებაზე და წახალისებაზე არ პასუხობს ადეკვატურად	
ადვილად ბრაზდება, ღიზიანდება	
ძირითადად არ ურთიერთობს თანატოლებთან	
ბავშვები თავს არიდებენ მასთან კონტაქტს	
ცდილობს შეაწუხოს თანაკლასელები, რომლებიც ჩართულნი არიან გაკვეთილის პროცესში	
სხვების მეგობრულ დამოკიდებულებას, სიმპათიას პასუხობს შეუსაბამოდ	
გაკვეთილზე უმეტესი დრო ლაპარაკობს შეუსაბამო თემებზე	
ცდილობს ხელი შეუშალოს ბავშვებს თამაშში, აქტივობების შესრულებაში	
არ უზიარებს საკუთარ ნივთებს თანაკლასელებს	
მალავს, იცავს საკუთარ ნივთებს სხვებისგან	
ახასიათებს ტანტრუმი (ისტერიული ქცევები)	
მოტივაცია	
ხშირად აცდენს სკოლას	
გამოიყურება უენერგიოდ, დაღლილად	
საკუთარ შეცდომებს სხვებს აბრალებს	
არ მონაწილეობს ისეთ აქტივობებში, რაც მისი თანატოლებისთვის საინტერესოა	
თავს იდანაშაულებს სიტუაციებში, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა	
არ არის მოტივირებული, მიიღოს დადებითი შეფასება ან რაიმე ჯილდო	
უკიდურესად ღიზიანდება შენიშვნის მიღებისას	
ავლენს თვითდამაზიანებელ ქცევებს	
ჰქონია თვითმკვლელობის მცდელობა ან აქვს აზრები თვითმკვლელობის შესახებ	
აღნიშნავს, რომ არავის არ უყვარს და არავინ არ ზრუნავს მასზე	
არ იღიმის, არ იცინის, არ გამოხატავს სიხარულს	
არის აპათიური, არ ავლენს სკოლისადმი ინტერესს, მოტივაციას რაიმესადმი	
ზედმეტად კრიტიკულია საკუთარი თავისადმი	
არ ზრუნავს გარეგნობაზე, ჰიგიენაზე	
ხშირად ტირის	
ცდილობს იზოლირებას	
აკეთებს სექსუალური შინაარსის კომენტარებს	
იტყუება, უარყოფს მის გაკეთებულს, თხზავს არასწორ ისტორიებს	
მისი ქცევები არაპროგნოზირებადია	
სკოლაში დააქვს აკრძალული ნივთიერებები /ნივთები მაგ. (წამლები, სამართებელი, დანა, სანთებელა ან/და სხვ)	
მოტორული უნარები	
აქვს ბავშვს რაიმე სახის ფიზიკური პრობლემა: ----------	
შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება,	
იყენებს დამხმარე საშუალებას (ეტლი, "ვოლქერი", ყავარჯნები)	
თამაშობს (სახლში, გარეთ), მოსწონს თამაში	
შეუძლია სირბილი, ხტომა, აძრომა	

შეუძლია ბურთის სროლა და დაჭერა	
უყვარს თუ არა სპორტი. თუ კი, მიუთითეთ რომელი:----------	
შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად თავის მოვლა: (ჩაცმა, ჭამა, ტუალეტის გამოყენება, ბანაობა, დასვენების დროის გამოყენება)	
უჭირს ღილების, თასმების, ელვაშესაკრავის შეკვრა, კბილების გამოხეხვა	
შეუძლია საწერი კალმის, ფანქრების, ცარცის გამოყენება/ხატვა	

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოკლევადიანი მონიტორინგი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი*

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი_____

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

*მოკლედ აღიწერება დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და /ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სიხშირით შეასრულებს მოსწავლე მისთვის განკუთვნილი დავალება)